

**ყაზახეთის გზა – 2050:  
საერთო მიზანი, საერთო ინტერესები და  
საერთო მომავალი**

**ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის  
ნ.ა. ნაზარბაევის გზავნილი ყაზახეთის  
ხალხისადმი.**

**2014 წლის 17 იანვარი**

## **ძვირფასო თანამოქალაქენო!**

### **პატივცემულო პარლამენტის წევრებო!**

ერთი წლის წინ მე გამოვაცხადე ახალი პოლიტიკური კურსი ყაზახეთისათვის 2050 წლამდე. მისი მთავარი მიზანია 30 ყველაზე განვითარებული ქვეყნის ჯგუფში გაერთიანება. ამ პროექტს „მარადიული ყაზახეთი“ ეწოდება. ეს არის ახალი ეპოქის ჩამოყალიბებული ხედვა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

ბოლო 22 წლის მანძილზე ყაზახეთმა დიდი საქმე შეასრულა. ჩამოვყალიბეთ ჩვენი განვითარების წარმატებული მოდელი. თითოეული მოქალაქე უსაზღვროდ ამაყია საკუთარი ქვეყნით. მათ სწამთ ხვალინდელი დღის და სჯერათ ყაზახეთის მომავლის. ჩვენი მოსახლეობის 97 პროცენტი ცნობს მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობების სტაბილურობას და მის განგრძობით გაუმჯობესებას წლიდან წლამდე.

დღესდღეობით, ჩვენი ქვეყნის მიღწევები ყოველი მოქალაქის ეროვნული სიამაყეა. ძლიერი და მტკიცე ქვეყნები ჩამოყალიბებულია ხანგრძლივადიან ხედვასა და სტაბილურ ეკონომიკურ განვითარებაზე. სტრატეგია „ყაზახეთი - 2050“ არის მოდერნიზაციის გზა ყველა სფეროში მდგრადი ზრდის საწარმოებლად. ეს არის დიდი გამოწვევა, რომელიც გამოცდის და გააძლიერებს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ერთობას, ჩვენს სიამაყეს და ჩვენს ძალისხმევას. ჩვენი საერთო მოვალეობა და პასუხისმგებლობა არის უზადოდ განვახორციელოთ სტრატეგია და გადავლახოთ ეს გამოცდა ჩავარდნების გარეშე!

## **პატივცემულო თანამოქალაქენო!**

XXI საუკუნის ყაზახეთი - სულ რაღაც ორი ათწლეულის მანძილზე ნიჭიერი, შრომისმოყვარე, ტოლერანტული ერის მიერ „ნულიდან“ შექმნილი ქვეყანაა! ეს ჩვენი საერთო შვილია, რომლითაც ჩვენ ვამაყობთ! ეს ჩვენი უდიდესი ქმნილებაა, რომელიც ჩვენ უანგაროდ გვიყვარს!

სტრატეგია-2050 ჩვენ იმისათვის მივიღეთ, რომ ყაზახეთის მოქალაქეებს მტკიცედ ეკავოთ ხელში ქვეყნის მომავლის საჭე. დღესდღეობით, ხანგრძლივადიანი გეგმებით მრავალი წარმატებული ქვეყანა მუშაობს - ჩინეთი, მალაიზია, თურქეთი. XXI საუკუნეში სტრატეგიული დაგეგმარება ნომერ პირველ წესს წარმოადგენს, რადგან არც ერთი ქარი არ იქნება ზურგის, თუ ქვეყანამ არ იცის მიმართულება და დანიშნულების ადგილი. სტრატეგია-2050, როგორც გზამკვლევი შუქურა, უფლებას გვაძლევს გადავწყვიტოთ ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება, ამასთან არ დავკარგოთ მხედველობიდან ჩვენი მთავარი მიზანი. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ყოველწლიურად, და არა 30-50 წლის შემდეგ, გავაუმჯობესებთ ადამიანების ცხოვრებას.

სტრატეგია - ეს არის პრაქტიკული საქმიანობის პროგრამა, რომელიც დღითი დღე, წლიდან წლამდე გააუმჯობესებს ქვეყანას და ყაზახელებისათვის ცხოვრებას. მაგრამ თითოეულმა უნდა შეიგნოს და იცოდეს, რომ საბაზრო პირობებში არ უნდა ელოდო ციდან მანანას, არამედ უნდა იშრომოს ეფექტურად. სახელმწიფოს ამოცანაა - ამისათვის ყველა

პირობა შეიქმნას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი სამშობლოს ღირსეული მომავალი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს შორისაა - ეს სწორედ ისაა, რას სამუდამოდ გააერთიანებს ყაზახეთის მოქალაქეებს.

დღეს მსურს წარმოგიდგინოთ მსოფლიოს განვითარებული 30 ქვეყნის რიცხვში შესვლის ჩვენი გეგმა. ჩემი დავალებით მთავრობამ შეიმუშავა დაწვრილებითი კონცეფციის პროექტი. მთლიანობაში, მე მოვიწონე ეს დოკუმენტი, რომელიც ჩემი დავალებების გათვალისწინებით შესწორების შემდეგ მოცემულ მიმართვაში საბოლოოდ იქნება დამტკიცებული. მრავალი პროგნოზის მიხედვით, მომდევნო 15-17 წელი გახდება „შესაძლებლობების ფანჯარა“ ყაზახეთის მასშტაბური გარღვევისათვის. ამ პერიოდში ჩვენთვის შენარჩუნდება კეთილსასურველი გარემო, მოხმარებისუნარიანობის ზრდა რესურსებში, ენერჯისა და კვებაში, მესამე ინდუსტრიული რევოლუცია მოძველდება. ჩვენ ეს დრო უნდა გამოვიყენოთ.

2050 წლის მიზნისკენ ჩვენ ვიმოდრავებთ რთულ გლობალურ კონკურენციაში. მომდევნო ათწლეულები არაერთ გამოწვევას შეიცავს, რომელთა შესახებ ჩვენ უკვე ვიცით, და ბევრ განუქვრეტელ სიტუაციას, ახალ კრიზისებს გლობალურ ბაზრებზე და მსოფლიო პოლიტიკაში. «მსუბუქი გასეირნება» XXI-ე საუკუნეში არ იქნება. საუკუნის შუაგული უკვე ახლოსაა. განვითარებული ქვეყნები მას თავიანთ კონკრეტულ სტრატეგიებს უსადაგებენ. XXI საუკუნის მეორე მესამედი ერთმნიშვნელოვნად უფრო რთული იქნება, ხოლო ტოპ 30-ის გლობალურ სიაში პრეტენდენტების რიცხვი – საკმაოდ შეზღუდული. მე არაერთხელ მითქვამს იმის შესახებ, რომ ცნება «განვითარებული ქვეყანა» - დროში ცვალებადი კატეგორიაა. განვითარებულ ქვეყნებში ჩნდება ხალხის ცხოვრების რადიკალურად ახალი ხარისხი.

ამჟამად, განვითარების ფუნდამენტური მაჩვენებლების დემონსტრირებას ახდენენ სახელმწიფოები - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაწილეები (OECD). მასში შედის 34 ქვეყანა, რომლებიც აწარმოებენ მსოფლიო მშპ-ს 60 პროცენტზე მეტს. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში შესვლის კანდიდატს წარმოადგენს კიდევ 6 ქვეყანა – ბრაზილია, ჩინეთი, ინდოეთი, ინდონეზია, რუსეთი და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. ყველა მონაწილე ქვეყანამ გაიარა ღრმა მოდერნიზაციის გზა, გააჩნიათ ინვესტიციების მაღალი მაჩვენებლები, მეცნიერული განვითარებები, შრომის პროდუქტიულობა, ბიზნესის განვითარება, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის სტანდარტები. OECD -ს ქვეყნების ინდიკატორები მათი მომავალი ხანგრძლივადიანი დინამიკის გათვალისწინებით, ეს არის ჩვენი გზის პლანეტის განვითარებულ 30 სახელმწიფოთა რიცხვში ყოფნის საბაზისო ორიენტირი.

მე ამოცანას ვაყენებ ყაზახეთში რიგი OECD-ს პრინციპებისა და სტანდარტების დასაწერად. ისინი გამოხატულია კონცეფციის პროექტში. ეკონომიკაში იგეგმება მშპ-ს ყოველწლიური ზრდის მიღწევა არანაკლებ 4 %-ისა და ზემოთ. უნდა უზრუნველვყოთ ინვესტიციების მოცულობის ზრდა არსებული 18%-დან 30 %-მდე მშპ-ს მთლიანი მოცულობიდან. ეკონომიკის მეცნიერული მოდელის დანერგვა ისახავს მიზნად 70 პროცენტამდე გაზარდოს არანედლეული პროდუქციის წილი ყაზახეთის ექსპორტის პოტენციალში.

ეკონომიკის ახალი მაღალტექნოლოგიური მიმართულებების შექმნა მოითხოვს მეცნიერების ფინანსირების ზრდას მშპ-ს არანაკლებ 3%-ის დონეზე. მნიშვნელოვანია 2-ჯერ შემცირდეს მშპ-ს ენერგომოხმარება. 2050 წლისათვის მცირე და საშუალო ბიზნესი აწარმოებს ყაზახეთის მშპ-ს არანაკლებ 50 პროცენტს, ახლანდელი 20 პროცენტის ნაცვლად. შრომის ნაყოფიერება უნდა გავზარდოთ 5-ჯერ - ახლანდელი 24,5 ათასიდან 126 ათას დოლარამდე.

2050 წლამდე სოციალური სფეროს განვითარების მთავარი ორიენტირები შეთანხმებულია კონკრეტული ინდიკატორის ციფრებში. ჩვენ 4,5-ჯერ უნდა გავზარდოთ მშპ-ს მოცულობის მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე - 13 ათასი დოლარიდან 60 ათას დოლარამდე. ყაზახეთი გახდება საშუალო კლასის უპირატესი წილის მქონე ქვეყანა. ურბანიზაციის გლობალური ტენდენციის მიმდევრობით, ქალაქის მაცხოვრებლების წილი გაიზრდება მთლიანი მოსახლეობის ახლანდელი 55 პროცენტიდან დაახლოებით 70 პროცენტამდე. ქალაქები და დასახლებული პუნქტები დაკავშირებულ იქნება ხარისხიანი გზებით და ყველა სახის ტრანსპორტის სწრაფმავალი მიმართულებებით.

ჯანსაღი ცხოვრების წესის დამტკიცება და მედიცინის განვითარება საშუალებას იძლევა ყაზახეთის მოქალაქეთა სიცოცხლისუნარიანობა გაგრძელდეს 80 წლამდე და ზევით. ყაზახეთი გახდება სამედიცინო ტურიზმის ერთ-ერთი წამყვანი ცენტრი. დასრულდება მოწინავე ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის ფორმირება. ყაზახეთი უნდა გახდეს მსოფლიოს ქვეყნებში ხალხის ცხოვრებისათვის ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო და კომფორტული ქვეყანა. მშვიდობა და სტაბილურობა, სამართლიანი მართლმსაჯულება და ეფექტური სამართლებრივი წესრიგი – ეს განვითარებული ქვეყნის საფუძველია.

### **პატივცემულო თანამოქალაქენო!**

ყაზახეთის 30 ყველაზე განვითარებულ მსოფლიო ქვეყანათა რიცხვში შესვლის კონცეფციაში განსაზღვრულია მოსალოდნელი სამუშაოს ხანგრძლივადიანი პრიორიტეტები. ჩვენ რიგი ამოცანებისა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებით უნდა გადავჭრათ.

პირველი. აუცილებელია ინოვაციური ინდუსტრიალიზაციის ტრენდის გაძლიერება და კორექტირება. მთავრობას მივეცი რიგი დავალებებისა, რომ 2016-2019 წლებისათვის შეიმუშაონ ფორსირებული ინდუსტრიულ-ინოვაციური განვითარების მეორე ხუთწლედის პროექტში უნდა შემოიფარგლოს ინდუსტრიალიზაციის პრიორიტეტების რიცხვი.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ტრადიციული მომპოვებელი სექტორების ეფექტურობის ამაღლება. ისინი - ჩვენი ბუნებრივი კონკურენტული უპირატესობებია. ჩვენ გვჭირდება ახალი მიდგომები მართვის, მოპოვებისა და ნახშირწყალბადების გადამამუშავებისთვის, ნავთობისა და გაზის სექტორის საექსპორტო პოტენციალის შენარჩუნებით. საბოლოოდ, უნდა ჩამოვყალიბდეთ ნავთობისა და გაზის მოპოვების შესაძლებელ სცენარებზე. უნდა გავზარდოთ იმჟიათი ლითონების დამამუშავება, მათი სამეცნიერო დარგების მნიშვნელობის გათვალისწინებით - ელექტრობა, ლაზერული ტექნოკა, კომუნიკაციური და სამედიცინო აღჭურვილობა.

ყაზახეთი უნდა გამოვიდეს მსოფლიო ბაზარზე გეოლოგიურ-კვლევით სფეროში. ამ დარგში აუცილებელია კანონმდებლობის გამარტივებით უცხოური ინჟინერული კომპანიების ინვესტიციების მოზიდვა. მთლიანობაში, ტრადიციულ მიმართულებებში ჩვენ უნდა გაგვაჩნდეს მათი განვითარების ცალკეული გეგმები. თითოეული ხუთწლედის კონკრეტული შედეგი ეკონომიკაში ახალი დარგის შექმნა უნდა იყოს. პირველი ხუთწლედის ფარგლებში შექმნილია ავტომობილები - და ავიაანგებობები, თბომავლების წარმოება, სამგზავრო და სატვირთო ვაგონები. ისინი უნდა გავაფართოვოთ, გავიყვანოთ გარე ბაზრებზე.

ასე რომ, 2050 წლამდე დარჩენილი წლები იყოფა სამ ხუთწლედად, რომელთაგან ყოველი მიზნად ერთი საკითხის გადაჭრას ისახავს - 30 განვითარებული ქვეყნის რიცხვში შესვლას.

მეორე და შემდგომი ხუთწლედების ფარგლებში საჭიროა ჩამოვყალიბოთ მობილური და მულტიმედიური, ნანო და კოსმიური ტექნოლოგიები, რობოტოტექნიკოგენური ინჟინერიის, მომავლის ენერჯის მოძიებისა და აღმოჩენის დარგები. სახელმწიფოს მუშაობის საკვანძო საკითხი იქნება მაქსიმალურად კეთილსასურველი პირობების შექმნა ყაზახური ბიზნესის შექმნისათვის, უმთავრესად, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის. უახლოეს 10-15 წელში უნდა შეიქმნას სამეცნიერო ეკონომიკური ბაზისი, რომლის გარეშე ჩვენ ვერ ჩავდგებით ერთ რიგში განვითარებულ ქვეყნებთან. ეს გადაწყდება განვითარებული მეცნიერების ბაზაზე.

მეორე. მნიშვნელოვანია აგრო-სამრეწველო კომპლექსის ინოვაციურ რელსებზე გადაყვანის უზრუნველყოფა. ეს ჩვენი ტრადიციული დარგია. საკვები პროდუქტების მოთხოვნა გლობალურად გაიზრდება. ამ სექტორში მიემართება მეტი ინვესტიციები. ამიტომ, ახლანდელი ფერმერები უნდა ზრუნავდნენ წარმოების ზრდაზე და არ უნდა დაკმაყოფილდნენ მცირე მიღწევებით, რომლებიც დაკავშირებულია ამინდის პირობებზე. გლობალურ აგრომრეწველობაში კონკურენცია გაიზრდება. მიწაზე უნდა იმუშაონ უპირველესად მათ, ვინც ნერგავს ახალ ტექნოლოგიებს და უწყვეტად ზრდის წარმოებისუნარიანობას, მუშაობს მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტებზე დაყრდნობით.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ეფექტური მიწის ბაზრის შექმნა, მათ შორის გამჭირვალე ფასწარმოქმნის მექანიზმებით. იჯარით სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების გადაცემა, მხოლოდ ინვესტიციების მოზიდვისა და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის გათვალისწინებით გაზრდის კონკურენციას. უნდა მოიხსნას ყველა ბარიერი, რაც ხელს უშლის ბიზნესის განვითარებას სოფლის მეურნეობაში, ფერმერთა კოოპერაციის პროცესს, ეფექტურ მიწისმომარაგებას.

მომავალი - აგრარულ რექტორში ახალი გადამამუშავებელი წარმოებების ქსელის შექმნაშია, უმთავრესად, მცირე და საშუალო ბიზნესის ფორმით. აქ ჩვენ ბიზნესს მხარი კრედიტებით უნდა დაუჭიროთ. ფერმერებს შუამავლების გარეშე უნდა ჰქონდეთ პირდაპირი ხელმისაწვდომობა ხანგრძლივადიან ფინანსირებასთან და გასაღების ბაზრებთან. აქტუალურ საკითხს წარმოადგენს გარანტირების ეფექტური სისტემის შექმნა და სოფლის წარმოებების სესხების დაზღვევა. ყაზახეთი ხორცის, რძის და სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთ-ერთ უმსხვილეს რეგიონალურ ექსპორტიორად უნდა გადაიქცეს. მემცენარეობაში უნდა წავიდეთ მცირე რენტაბელური კულტურების

მოცულობის შემცირების გზით და მათი ბოსტნეულის, ზეთის ხილის და საკვები პროდუქციით ჩანაცვლებით. საჭიროა კომპლექსური ზომები აგროქიმიკატების ეფექტური გამოყენებით, მშრალ რეგიონებში ნიადაგის დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გაფართოება და სხვა ინოვაციები.

2030 წლისათვის „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლის მიღებული კონცეფციის თანახმად, 15 პროცენტი სათესი ფართობების გადავა წყლის დაზოგვის ტექნოლოგიებზე. ჩვენთვის აუცილებელია აგრარული მეცნიერების განვითარება, ექსპერიმენტული აგრარულ-ინოვაციური კლასტერების შექმნა. მნიშვნელოვანია არ ჩამოვრჩეთ დროს, და ბუნებრივი საკვები პროდუქტების წარმოების კვალდაკვალ, გვალვამდამდე გენომოდიფიცირებული კულტურების შემუშავების დანერგვა. აღნიშნული ამოცანების გათვალისწინებით, მთავრობას ვავალებ აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების დაგეგმარების შესწორებას.

მესამე. სამეცნიერო ეკონომიკის შექმნა – ეს უპირველესად ყაზახური მეცნიერების პოტენციალის ამაღლებაა. მოცემული მიმართულებით საჭიროა კანონმდებლობის სრულყოფა საწარმოო ფინანსირებაში, ინტელექტუალური საკუთრების დაცვაში, კვლევების და ინოვაციების მხარდაჭერაში, ასევე, სამეცნიერო მიღწევების კომერციალიზაციაში. მთავრობას დავალებ ვაძლევ, რომ მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე შეიმუშაოს და პარლამენტში განიხილოს შესაბამისი კანონპროექტების პაკეტი. საჭიროა კონკრეტული გეგმის შემუშავება მეცნიერების ეტაპობრივი დაფინანსების გაზრდის კონკრეტულ აღმოჩენასა და შემუშავებაზე, და მისი მიყვანა განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებამდე.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მთლიანად უნდა გამოვიყენოთ ჩვენს ქვეყანაში ცოდნისა და ახალი ტექნოლოგიების შემოსაყვანად. უცხოელ კომპანიებთან ერთობლივად საჭიროა შევქმნათ საპროექტო და ინჟინერული ცენტრები. ჩვენ უნდა მოვუხმოთ წამყვან ტრანსნაციონალურ კომპანიებს, რომლებიც მუშაობენ უმსხვილეს ნავთობისა და გაზის და სამთო-მეტალურგიულ ობიექტებზე, რომ მათ აქ შექმნან წარმოება საკუთარი საჭიროებისა და სერვისის უზრუნველსაყოფად. მე ვიცი, რომ ზოგიერთი მსხვილი კომპანია მზად არის ამის გასაკეთებლად. მთავრობამ უნდა დაამუშაოს მოცემული საკითხი და საჭიროების შემთხვევაში შექმნას ამისათვის ყველა პირობა. არ უნდა შემოვიტანოთ აღჭურვილობა საზღვარგარეთიდან, როცა ის შეიძლება აწარმოო ჩვენთან ქვეყანაში. .

მნიშვნელოვანია ეროვნული სისტემის ეფექტურობის, მისი საბაზო ინსტიტუტების ამაღლება. მათი აქტიურობა უნდა მიემართოს სტარტაპების და საწყისი ეტაპის სამეწარმეო გარიგებების მხარდასაჭერად. უნდა გავააქტიუროთ ტექნოლოგიური პარკების მუშაობა, განსაკუთრების მსხვილ ქალაქურ აგლომერაციებში, უპირველეს ყოვლისა, ასტანაში და ალმატაში. პირველი ინტელექტუალურ-ინოვაციური კლასტერი უკვე წარმატებით მუშაობს ასტანაში ნაზარბაევის უნივერსიტეტის ბაზაზე. ალმატაში - ეს ინფორმაციული ტექნოლოგიების პარკი „ალტაუ“. მნიშვნელოვანია მოვიფიქროთ ტექნოპარკებში პროცესის განთავსების სტიმულირების ზომები მსხვილი ყაზახური კომპანიების წარმოებაზე დამატებით.

მეოთხე. უნდა უზრუნველვყოთ ინფრასტრუქტურული ტრიადის - აგლომერაციის, ტრანსპორტის და ენერგეტიკის დინამიური განვითარება. აგლომერაციები - ეს ყაზახეთის

მეცნიერული ეკონომიკის კარკასია. მათი შექმნა და განვითარება – მნიშვნელოვანი საკითხია ქვეყნის უზარმაზარი ტერიტორიის და მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვის გათვალისწინებით. პირველ თანამედროვე ურბანულ ცენტრებად გახდებიან უმსხვილესი ქალაქები - ასტანა და ალმატი, შემდგომ - შიმკენტი და აკტობე. ისინი უნდა გახდნენ ასევე მეცნიერების და ინვესტიციების მოზიდვის ცენტრები და მოსახლეობას შესთავაზონ ხარისხიანი საგანმანათლებლო, სამედიცინო, სოციოკულტურული მომსახურება.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა - ეს ჩვენი ინდუსტრიალური ეკონომიკისა და საზოგადოების სისხლისმიმოქცევის სისტემაა. მე არაერთხელ მითქვამს იმის შესახებ, რომ განვითარებული ქვეყანა არ არსებობს ხარისხიანი თანამედროვე მაგისტრალების გარეშე. ამას გარდა, ყაზახეთისათვის დამაკავშირებელ გზებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მისი მდებარეობის გათვალისწინებით ევროპასა და აზიას, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. ქვეყნის შიგნით გზების ქსელის შექმნისათვის ჩვენ დავიწყეთ გზატკეცილების „ასტანა-ყარაგანდა-ალმატა“, „ასტანა-პავლოდარი-უსტ-კამენაგორსკი“, „ალმატა-კაპჩაგაი-უსტ-კამენოგორსკი“ მშენებლობა. ამავე მიმართულებებით უკვე დადიან მატარებლები გაორმაგებული სიჩქარით.

აუცილებელია ლოჯისტიკური მომსახურების სექტორის განვითარება. უპირველეს ყოვლისა, საუბარია საბაჟო კავშირის ტერიტორიის მაქსიმალურ გამოყენებაზე ჩვენი ტვირთების ტრანსპორტირებისათვის. დასასრულს უახლოვდება „დასავლეთი ევროპა - დასავლეთი ჩინეთი“ კორიდორის მშენებლობა, დაიგო რკინიგზა თურქმენეთში და ირანში, სპარსეთის ყურეში გასასვლელით. პერსპექტივაში, ყაზახეთმა უნდა ჩადოს ინვესტიციები ლოჯისტიკური ცენტრების შესაქმნელად იმ ქვეყნებში, რომელთაც გააჩნიათ გასასვლელი ზღვაზე. უნდა შემცირდეს ტვირთების საბაჟო დამუშავების ვადები, გაიზარდოს სასაზღვრო პუნქტების გამშვები შესაძლებლობები, გაძლიერდეს აკტაუს პორტის შესაძლებლობები, გამარტივდეს ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების პროცედურები.

ჩვენ ვაშენებთ ახალ 1200 კილომეტრის სიგრძის რკინიგზას „ჟეზკაზგან-შალკარ-ბეინეუ“. ის პირდაპირ დააკავშირებს ქვეყნის დასავლეთსა და აღმოსავლეთს, გააცოცხლებს რა ამით ცენტრის მრავალ რაიონს. ეს გრანდიოზული მშენებლობა დასრულდება 2015 წელს. ეს მაგისტრალი საშუალებას მისცემს კასპიის ზღვისა და კავკასიის გავლით ევროპაში გასვლას. ხოლო აღმოსავლეთით – პორტ ლანიუნანში წყნარ ოკეანეში, რაზეც შეთანხმება უკვე არსებობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან.

ენერგეტიკას ჩვენ განვავითარებთ მის ტრადიციულ სახეობებში. აუცილებელია ძიებების და აღმოჩენების მხარდაჭერა TAC ნარჩენების გასასუფთავებლად, ელექტროენერჯის ეკონომია წარმოებაში და ყოფაცხოვრებაში თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაყრდნობით. რამდენიმე ხნის უკან, ევროკავშირის პირველი ათი უმსხვილესი კომპანია საქვეყნოდ გამოვიდა ევროკავშირის ენერგოსტრატეგიის წინააღმდეგ, რომელიც მიღებულ იქნა ცნობილი მწვანე ეკონომიკის კონცეფციის მიხედვით. მისი შესრულების ოთხი წლის მანძილზე ევროკავშირმა დაჰკარგა 51 გიგავატი ენერგოსიძლიერე. მწვანე ეკონომიკაზე მუშაობისას ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ეს შეცდომები.

ასტანაში მსოფლიო გამოფენისათვის ექსპო-2017 მზადება უნდა გამოვიყენოთ მსოფლიოს საუკეთესო გამოცდილების დანერგვის და შესწავლისათვის მომავლის

ენერჯისა და მწვანე ეკონომიკის ძიება და შექმნა. ნაზარბაევის უნივერსიტეტის ეგიდით სპეციალისტების ჯგუფი უნდა შეუდგეს ამაზე მუშაობას. ჩვენ უნდა შევქმნათ პირობები საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადაყვანისათვის ეკოლოგიურად სუფთა ტიპის საწვავზე, დავნერგოთ ელექტრომობილები და შევქმნათ მათთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ქვეყანას სჭირდება დიდი მოცულობის ბენზინის, დიზელის საწვავის, ავიაციური ნავთის წარმოება. უნდა ავაშენოთ ახალი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა.

ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს ბირთვული ენერჯის განვითარების პერსპექტივა. მოთხოვნა იაფ ატომურ ენერჯიაზე მსოფლიოს განვითარების გათვლად პერსპექტივაში მხოლოდ გაიზრდება. ყაზახეთი - მსოფლიო ლიდერია ურანის მოპოვებაში. ჩვენ უნდა განვავითაროთ ჩვენი საკუთარი საწვავის წარმოება ატომური ენერჯოსადგურისათვის და ავაგოთ ატომური სადგურები.

მეხუთე. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება – აი, ეს არის XXI საუკუნეში ყაზახეთის ინდუსტრიული და სოციალური მოდერნიზაციის მთავარი იარაღი. ამაში ჩემი პოზიცია, როგორც ცნობილია, ერთმნიშვნელოვანია, და მე ის არაერთხელ გამომითქვამს. რაც უფრო მეტია მცირე და საშუალო ბიზნესის წილი ჩვენს ეკონომიკაში – მით უფრო მდგრადი იქნება ყაზახეთის განვითარება. ჩვენთან მოქმედებს 800 ათასზე მეტი მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტი, მათში მუშაობს 2.4 მილიონი ყაზახეთის მოქალაქე. ამ სექტორის პროდუქციის მოცულობა ოთხ წელიწადში გაიზარდა 1.6-ჯერ და შეადგენს 8.3 მილიარდ ტენგეზე მეტს.

გლობალური რეიტინგის მიხედვით ყაზახეთი შედის ბიზნესის წარმოებისათვის ყველაზე კეთილსასურველი პირობების მქონე ქვეყანათა რიცხვში და ეს ტენდენცია ჩვენ უნდა გავზარდოთ. მცირე და საშუალო ბიზნესი – ეს მტკიცე ეკონომიკური საფუძველია ჩვენი საზოგადოების საყოველთაო შრომისათვის. მისი განვითარებისათვის საჭიროა კომპლექსური გადაწყვეტილებები კერძო საკუთრების ინსტიტუტის საკანონმდებლო განმტკიცებისათვის. უნდა გავაუქმოთ ყველა ინერტული საკანონმდებლო ნორმა, რომელიც ხელს უშლის ბიზნესის განვითარებას. მცირე ბიზნესი უნდა გახდეს საოჯახო ტრადიციად, რომელიც გადაეცემა თაობიდან თაობას.

მნიშვნელოვანია ზომების მიღება მცირე ბიზნესის სპეციალიზაციის განვითარებისათვის, მისი საშუალო ბიზნესის რანგში გადასვლის პერსპექტივით. საჭიროა ამ სექტორის სუბიექტების გაკოტრების მკაფიო მექანიზმის დანერგვა. მცირე და საშუალო ბიზნესი უნდა განვითარდეს ახალი ინოვაციების საწარმოების გარშემო. მე მთავრობას დავავალე ინდუსტრიალიზაციის მეორე ხუთწლედის გეგმის შეთავსება საგზაო რუქასთან „ბიზნესი -2020“. მთავრობამ, მეწარმეთა ეროვნულ პალატასთან ერთად უნდა შექმნას დამწყები ბიზნესმენების მეთოდური დახმარების ეფექტური მექანიზმი.

მეექვსე. ჩვენი გზა მომავლისაკენ დაკავშირებულია ახალი შესაძლებლობების შექმნასთან ყაზახეთის პოტენციალის გასახსნელად. განვითარებული ქვეყანა XXI საუკუნეში – ეს აქტიური, განათლებული და ჯანმრთელი მოქალაქეებია. რა უნდა გავაკეთოთ ამისათვის ჩვენ?

უპირველესად, ყველა განვითარებულ ქვეყანას გააჩნია უნიკალური ხარისხიანი საგანმანათლებლო სისტემები. ჩვენ მოგველის დიდი შრომა ეროვნული განათლების ყველა



რგოლის ხარისხის გასაუმჯობესებლად. 2020 წლისათვის იგეგმება 3-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების სკოლამდელი განათლებით 100 პროცენტის უზრუნველყოფა. ამიტომ მნიშვნელოვანია მივცეთ მათ სწავლების თანამედროვე პროგრამები და მეთოდოლოგია, კვალიფიცირებული კადრები. საშუალო განათლებაში უნდა ამოქაჩოთ ზოგადი განათლების სკოლები ნაზარბაევ-ინტელექტუალურ სკოლის სწავლების დონემდე. სკოლა დამთავრებულებმა უნდა იცოდნენ ყაზახური, რუსული და ინგლისური ენები. სკოლის მოსწავლეების სწავლების შედეგი უნდა იყოს მათ მიერ კრიტიკული აზროვნების უნარების დაუფლება, ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება და ღრმა ანალიზი.

უახლოესი 3 წლის განმავლობაში, 2017 წლამდე, უნდა აღმოიფხვრას სასწავლო ადგილების უკმარისობის პრობლემა და ქვეყნის ყველა სკოლა უნდა გადავიყვანოთ ორცვლიან სწავლებაზე, სადაც ეს აუცილებელია. მთავრობამ და აკიმატებმა უნდა გაითვალისწინონ საბიუჯეტო სახსრების გამოყოფა ამ ამოცანის მოსაგვარებლად. უახლოეს 2-3 წელიწადში უნდა მოვახდინოთ დუალური ტექნიკური და პროფესიული განათლების ეროვნული სისტემის ღერძის ფორმირება. პერსპექტივაში უნდა გავითვალისწინოთ სახელმწიფოს მიერ გარანტირებული ახალგაზრდების მიერ ტექნიკური განათლების მიღებაზე გადასვლა. 2014 წლის 1 ივნისამდე მთავრობას ვავალე შემოიტანოს კონკრეტული წინადადებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აუცილებელია გეგმაზომიერად შევუდგეთ წამყვანი უნივერსიტეტების გადასვლას აკადემიურ და მმართველობით ავტონომიაზე. ვთვლი, აუცილებელია შეიქმნას ეფექტური მხარდაჭერის სისტემა სტუდენტების და მათთვის, ვინც მაღალი აკადემიური მოსწრებით სწავლობს. ვავალე მთავრობას 2016 წლის 1 იანვრიდან უზრუნველყოს სტიპენდიების რაოდენობის 25 პროცენტით გაზრდა.

მეორე, ჯანდაცვაში მთავარი პრიორიტეტია - პირველადი სამედიცინო-სანიტარული დახმარების განვითარება. უნდა შეისწავლოს აუცილებელი სამედიცინო დაზღვევის შემოღების საკითხი. სახელმწიფოს, დამსაქმებლისა და დასაქმებულის სოლიდარული პასუხისმგებლობა მის ჯანმრთელობაზე - მთავარი პრინციპია მთელი სამედიცინო მომსახურებისა. სპორტით დაკავებულობა, სწორი კვება, რეგულარული პროფილაქტიკური შემოწმებები - ეს დაავადებების პრევენციის საფუძველია.

მესამე, საჭიროა ახალი იმპულსები მიეცეს არაყაზახური კულტურის განვითარებას. უნდა შემუშავდეს კულტურული პოლიტიკის გრძელვადიანი კონცეფცია. მასში უნდა განისაზღვროს ზომები, მიმართული ყაზახების კულტურული მენტალობის კონკურენტუნარიანობის ჩამოსაყალიბებლად, თანამედროვე კულტურული კლასტერების განვითარება.

მეოთხე, უნდა გადაიხედოს განათლების, ჯანდაცვის, სოციალური დახმარების მუშაკთა სოციალური პაკეტი. მთავრობას ვავალე შეიმუშაოს და 2015 წლის 1 ივლისიდან დაწერგოს სამოქალაქო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ახალი მოდელი. მან უნდა უზრუნველყოს ჯანდაცვის მუშაკთა ხელფასების გაზრდა - 28 პროცენტამდე, განათლების მუშაკთა - 29 პროცენტამდე, სოციალური დაცვის მუშაკთა - 40 პროცენტამდე.

მეხუთე, უნდა გავაძლიეროთ ყურადღება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ჩვენი მოქალაქეების მიმართ. ყაზახეთი მათთვის უზარბაელო ზონა უნდა გახდეს. იზრუნო

ამ ადამიანებზე, რომელთა რაოდენობა არ არის ცოტა, - ჩვენი ვალია საზოგადოების და საკუთრივ ჩვენს მიმართ. მთელს მსოფლიოში ამას აკეთებენ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს შეუძლიათ იმუშაონ საყოფაცხოვრებო მომსახურების, კვების მრეწვეობის, სოფლის მეურნეობის საწარმოებში. მე კიდევ ერთხელ მივმართავ მთელს ჩვენს ბიზნეს წრეებს, გაუწიონ მათ შუამდგომლობა დასაქმებაში. ასევე შეიძლება განიხილოს სპეციალური ქვოტის შემოღების შესაძლებლობა 5-10 ადამიანზე.

ჩვენ ჩავრთავთ მათ აქტიურ ცხოვრებაში, ისინი მიიღებენ არა მარტო დახმარებას, არამედ შეიგრძნობენ საკუთარ თავს საზოგადოების წევრებად, სასარგებლო მუშაკებად. ყველა ჩვენმა სოციალურმა ინსტიტუტმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, პარტია „ნურ ოტანმა“ უნდა მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს. თუ აუცილებელია, მაშინ მთავრობამ უნდა იმუშაოს ამ საკითხზე ყველა კომპანიასთან ერთად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. მთავრობას ვავალებ, 2015 წლის 1 ივლისიდან გაზარდონ 25 პროცენტით სოციალური დახმარების რაოდენობა ინვალიდობის და მზრუნველის დაკარგვის მიხედვით. უნდა დაიხვეწოს ინვალიდთა გაერთიანებების საქმიანობის სამართლებრივი ბაზა.

მნიშვნელოვანია გაძლიერდეს ყველა სახელმწიფო ორგანოს მუშაობა მათთან - მთავრობიდან ადგილობრივ აკიმაძედ. აუცილებელია გავაგრძელოთ სიღარიბის დონის შემცირება და უმუშევრობის დონის შეკავება. ამასთან, მნიშვნელოვანია არ დავუშვათ პარაზიტული განწყობის ზრდა. ყველა მათთვის, ვინც იღებს სახელმწიფო დახმარებებს, უნდა შემოვიღოთ დასაქმებისა და სოციალური ადაპტაციის პროგრამებში აუცილებლად მონაწილეობის წესი.

მეშვიდე. სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის სრულყოფა. 30 განვითარებული ქვეყნის რიცხვში ყოფნის მოძრაობისათვის, ჩვენ გვჭირდება პატიოსანი კონკურენციის, სამართლიანობის, კანონის უზენაესობის და მაღალი სამართლებრივი კულტურის ატმოსფერო. საჭიროა განახლებული ინსტრუმენტები სახელმწიფოს ურთიერთქმედების არასამთავრობო სექტორთან და ბიზნესთან.

კანონის წინაშე თანასწორობა უნდა გახდეს მართლწესრიგის რეალური საფუძველი. სასამართლო სისტემა უნდა გახდეს პრაქტიკაში გამჭირვალე და ხელმისაწვდომი, მარტივად და სწრაფად წყვეტდეს ყველა დავას. უნდა ავამაღლოთ მთელი სამართალდამცავი სისტემის მუშაობის ხარისხი. ადამიანები სამხრეებით, რომლებიც აღჭურვილნი არიან დიდი უფლებამოსილებით, უნდა გამოირჩეოდნენ უნაკლო ქცევით და მაღალი პროფესიონალიზმით.

უმნიშვნელოვანესი ამოცანაა – გაგრძელდეს ახალი ანტიკორუფციული სტრატეგიის ფორმირება და რეალიზაცია. ადმინისტრაციული რეფორმა არ უნდა გადაიქცეს უსარგებლო ქაღალდწარმოების და დოკუმენტბრუნვის მქუხარე პროცესად. უფრო მეტი დამოუკიდებლობა უნდა მიეცეთ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, ამასთან, გაძლიერდეს მათი პასუხისმგებლობა შედეგებზე, რაც გაზრდის მათ ანგარიშვალდებულებას მოსახლეობის წინაშე. მთავრობას ვაძლევ დავალებას ჩემს ადმინისტრაციასთან ერთად, მიმდინარე წლის 1 ივლისამდე შემოიტანოს წინადადებების კომპლექსი ყველა ამ საკითხზე.

აუცილებელია გაგრძელდეს სახელმწიფო საწარმოების, ეროვნული კომპანიების და საბიუჯეტო ორგანიზაციების საკადრო პოლიტიკაში მერიტოკრატიის პრინციპების დანერგვის გაგრძელება. მთავრობას ვადალვებ ვაზარდოს კორპუსი „ბ“ სახელმწიფო მოსამსახურეთა სახელფასო ანაზღაურება 2015 წლის 1 ივლისიდან- 15 პროცენტით, ხოლო 2016 წლის 1 ივლისიდან - კიდევ 15 პროცენტით. .

ასეთია ის კონკრეტული ამოცანები, რომლებიც ჩვენი სახელმწიფოს და საზოგადოების წინაშე დგას მსოფლიოს 30 განვითარებულ სახელმწიფოთა რიცხვში ყოფნის გზაზე. ჩვენ უნდა განვახორციელოთ ისინი კანონებში და კონკრეტულ გადაწყვეტილებებში.

### **პატივცემული დეპუტატები და მთავრობის წევრებო!**

ჩვენი მოძრაობა მსოფლიოს 30 განვითარებული ქვეყნების რიცხვისკენ უნდა განხორციელდეს ორ ეტაპად.

პირველი ეტაპი მოიცავს პერიოდს 2030 წლამდე, როცა საჭირო იქნება მოდერნიზირებული ნახტომის განხორციელება, XXI საუკუნეში „შესაძლებლობათა ფანჯრის“ გამოყენებით. ამ დროს ყაზახეთს მოუწევს გააკეთოს ის, რაც განვითარებულმა ქვეყნებმა განახორციელეს გასული საუკუნის ინდუსტრიული ბუმის დროს. ეს სავსებით განხორციელებადია. ანალოგიური გზა გაიარა სამხრეთ კორეამ და სინგაპურმა. ამ ეტაპზე ჩვენ უზრუნველყოფთ ჩვენი ეკონომიკის ტრადიციული დარგების დინამიურ ზრდას და შევქმნით ძლიერ გადამამუშავებელ ინდუსტრიულ სექტორს.

მეორე ეტაპზე 2030 წლიდან 2050 წლამდე პერიოდში აუცილებელია მეცნიერული ეკონომიკის პრინციპებზე დაყრდნობით ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა. ჩვენ ჩამოვყალიბებთ ძლიერ გადამამუშავებელ მრეწველობას. ტრადიციულ დარგებში განხორციელდება მაღალი გადამამუშავებელი პროდუქციის გამოშვებაზე გადასვლა, მიიღებენ განვითარებული ინჟინეროგენულ მომსახურებას, როგორც ბაზას სამეცნიერო ეკონომიკისათვის.

ამჯერად, მსურს შევჩერდე იმაზე, რაც კონკრეტულად უნდა გავაკეთოთ უკვე ამ წელს, იმის გათვალისწინებით, რომ ბევრი დამოკიდებულია სტარტზე. მთავრობასა და ეროვნულ ბანკს ვაძლევ კონკრეტულ დავალებებს ამ წლისათვის.

პირველი. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს მიმდინარე წელს ეკონომიკის ზრდა 6-7 პროცენტთან დონეზე. ამასთან, მშპ ერთ სულ მოსახლეზე მიმდინარე წლის შედეგების მიხედვით უნდა შეადგენდეს არანაკლებ 14,5 ათას დოლარს.

მეორე. ვადალვებ ეროვნულ ბანკს და მთავრობას 2014 წლის 1 მაისამდე შეიმუშაოს საშუალოვადიან პერსპექტივაში ინფლაციის 3-4 პროცენტამდე დასაწევად ზომების კომპლექსი.

მესამე. 2014 წლის 1 ივნისამდე, მთავრობამ ეროვნულ ბანკთან ერთად უნდა შეიმუშაოს ფინანსური სექტორის განვითარების კომპლექსური პროგრამა 2030 წლამდე.

მეოთხე. მთავრობამ, ფონდ „სამრუკ-კაზინა“-სთან ერთად ჩაატაროს სახელმწიფოს მონაწილეობით ყველა კომპანიის ანალიზი, განსაზღვროს საწარმოების ჩამონათვალი, რომელიც ექვემდებარება კერძო სექტორში გადაცემას. ასეთივე სამუშაო უნდა ჩატარდეს დანარჩენ სახელმწიფო სექტორშიც. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში უნდა იქნას მიღებული პრივატიზაციის კომპლექსური პროგრამა 2014-2016 წლებისათვის.

მეხუთე. მთავრობამ მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა შეიმუშაოს 2030 წლამდე პერიოდზე აგლომერაციის ფორმირების სტრატეგიის პროექტი ქალაქებში ასტანა და ალმაატა.

მექვსე. 2014 წლის 1 სექტემბრამდე, მთავრობამ შეიმუშაოს ყაზახეთის ტრანზიტული პოტენციალის განვითარების პროგრამა 2030 წლის პერიოდისათვის, საერთაშორისო ვაჭრობის განხორციელებისას ბარიერების მოხსნის საკითხების გათვალისწინებით.

მეშვიდე. მიმდინარე წლის პირველი კვარტლის ბოლომდე მთავრობამ უნდა გადაჭრას მეოთხე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის და ატომური ელექტროსადგურის განთავსების, ინვესტიციების წყაროების და ვადების საკითხები.

### **პატივცემულო ყაზახეთის მოქალაქეო!**

#### **ჩემო კოლეგებო!**

მთავარი მიზნის, სტრატეგია-2050 მისაღწევად ჩვენი ყველა მოქმედება უნდა მისდევდეს მკაფიო პრინციპებს.

უპირველესად, ყველა მიღებული გადაწყვეტილების პრაგმატულობისა და ევოლუციურობის პრინციპი. არ უნდა დავუშვათ არანაირი ნახტომები, მოუფიქრებელი ექსპერიმენტები და ავანტიურები ეკონომიკაში, პოლიტიკასა და სოციალურ ცხოვრებაში. ჩვენი ქვეყანა და საზოგადოება უნდა იცვლებოდეს ისევე მიზანმიმართულად, როგორი სისწრაფითაც შეიცვლება ჩვენს გარშემო მსოფლიო.

მეორე, ურთიერმომგებიანი გახსნილობის პრინციპი. ჩვენ ფართოდ მოვიზიდავთ ჩვენს ეკონომიკაში უცხოურ ინვესტიციებს, ტექნოლოგიებსა და ინოვაციებს. ინვესტორებისათვის ჩვენ შევქმნით მუშაობისათვის კეთილსასურველ პირობებს. ამასთან, ტოპ-30 მსოფლიოს განვითარებული ქვეყნის სიაში შესვლის მნიშვნელოვან მექანიზმად ჩვენ მკაფიოდ ვხედავთ ჩვენი ეკონომიკის ინტეგრაციის გაღრმავებას რეგიონალურ და გლობალურ ეკონომიკურ სისტემებში. ეს უპირველესად, დაკავშირებულია ჩვენი მონაწილეობით ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ფორმირებაში, მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაში შესვლით.

მესამე, ეს არის ყაზახელების კეთილდღეობის გაძლიერების პრინციპი. უბრალო ადამიანების სოციალური თვითშეგრძნება ჩვენი მთავარი მიზნისკენ წინსვლის მნიშვნელოვანი ინდიკატორი უნდა იყოს.

მეოთხე, დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო სახალხო მხარდაჭერის პრინციპს. ჩემი მიმართვა ერისადმი თავად გახლავთ ჩვენი მიზნებისა და ამოცანების მთავარი განმმარტებელი დოკუმენტი. ყოველი მინისტრი, აკიმი, საწარმოს ხელმძღვანელი სათავეში უნდა ჩაუდგეს განმარტებისა და მუშაობაში ყველას ჩართვის ამ საქმიანობას. მიმართვის მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციისათვის კონკრეტული ზომები აუცილებელია მივიტანოთ თითოეულ მოქალაქემდე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს გახდება პარტია „ნურ ოტანის“ საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ საქმიანობად. ამისათვის, უპირველესად თვით სახელმწიფო მოღვაწეებმა უნდა იცოდნენ და განიმსჭვალონ ჩვენი სტრატეგიის იდეებით.

პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და მთავრობის, ყველა დონეზე აკიმატების მთლიანი შემადგენლობის სამუშაო მიმართული უნდა იყოს ყველა ამ ამოცანის შესასრულებლად. მთლიანობაში, სახელმწიფო ორგანოთა სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს სტრატეგია-2050-ის მიზნების რეალიზაციის უზრუნველყოფას და მოსალოდნელი ამოცანების გადაჭრას.

### **ძვირფასო თანამოქალაქენო!**

ჩვენ, ყაზახები, ერთიანი ერი ვართ! და ჩვენთვის საერთო ბედი - ეს ჩვენი Мәңгілік Ел-ია, ჩვენი ღირსეული და დიადი ყაზახეთი! «Мәңгілік Ел» – ეს ჩვენი საერთო ყაზახური სახლის ეროვნული იდეაა, ჩვენი წინაპრების ოცნება. 22 წლიანი სუვერენული განვითარების მანძილზე შეიქმნა უმთავრესი ღირებულებები, რომლებიც აერთიანებს ყველა ყაზახელს და შეადგენს ჩვენი ქვეყნის მომავლის ფუნდამენტს. ისინი არ არიან აღებული ღრუბლებს მიღმა თეორიებიდან. ეს ფასეულობებია – ყაზახური გზის გამოცდილება, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო.

მეხუთე, ეს არის ყაზახეთის დამოუკიდებლობა და ასტანა. მეორე, ეს არის ეროვნული ერთობა, მშვიდობა და თანხმობა ჩვენს საზოგადოებაში. მესამე, ეს არის საერო საზოგადოება და მაღალი სულიერება. მეოთხე, ინდუსტრიალიზაციასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდა. მეხუთე, ეს არის საყოველთაო შრომის საზოგადოება. მეექვსე, ისტორიის, კულტურისა და ენის ერთობლიობა. მეშვიდე, ეს არის ეროვნული უსაფრთხოება და ჩვენი ქვეყნის გლობალური მონაწილეობა მსოფლიო და რეგიონალური პრობლემების მოგვარებაში. ამ ფასეულობების წყალობით, ჩვენ ყოველთვის ვიგებდით, ვამყარებდით ჩვენს ქვეყანას, ვზრდიდით ჩვენს დიად წარმატებებს. სახელმწიფოს ჩამომყალიბებელ ამ საერთო ეროვნულ ფასეულობებში ვლინდება ახალი ყაზახური პატრიოტიზმის იდეური საფუძველი.

ვავალე პრეზიდენტის ადმინისტრაციას, მთავრობას, ყაზახეთის ხალხის ასამბლევას საერთოეროვნულ მოძრაობა „ყაზახეთი - 2050“ ერთად გაუწიოს ორგანიზება პატრიოტული აქტის «Мәңгілік Ел» შემუშავებასა და ორგანიზებას. ჩვენ ვისახავთ დიად მიზნებს ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ, და ამიტომ მე მოვუწოდებ ყველა პოლიტიკურ პარტიას, საზოგადოებრივ გაერთიანებებს, ყველა ყაზახელს აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სტრატეგია -2050 მთავარი მიზნის მიღწევისათვის მუშაობაში! განსაკუთრებით მივმართავ ჩვენს ახალგაზრდობას. ეს სტრატეგია - თქვენთვისაა. თქვენ უნდა მიიღოთ მის რეალიზაციაში მონაწილეობა და თქვენვე უნდა მოიმკათ მისი წარმატების ნაყოფი. ჩაერთეთ სამუშაოში, თვითოეული თქვენს სამუშაო ადგილზე. ნუ იქნებით გულგრილნი. შექმენით ქვეყნის ბედი მთელს ერთან ერთად!

## ჩემო ძვირფასო თანამოქალაქნო!

*Mangilik Yel* (მარადიული მიწა) იყო მშვენიერი ოცნება მრავალი ათასი წლის მანძილზე. ეს არის ოცნება დამოუკიდებელი ქვეყნის შექმნისა, რომელსაც აქვს თანაბარი ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან და აქვს თავისი საკუთარი ადგილი მსოფლიო რუკაზე. ეს არის ოცნება ბედნიერი ქვეყნის შექმნისა, რომელიც ნებას რთავს თავის მოქალაქეებს ჰქონდეთ სავსე ცხოვრება და შეხედონ მომავალს რწმენით.

ჩვენ, ჩვენი ოცნებები სინამდვილეთ ვაქციეთ. ჩვენ მარადიული მიწის ფუნდამენტი ჩავყარეთ. მე შევნიშნე, ხალხი კითხულობს „რა იქნება ყაზახი ხალხის ეროვნული იდეა?“ ეს არის იდეა, რომელიც გვიჩვენებს მომავლისკენ მიმართულებას, რომელიც ახდენს ერის კონსოლიდაციას და წინ მიუძღვის დიადი ამბიციების აღსრულებას. ეს არის *Mangilik Yel*-ის იდეა - მარადიული მიწა. დამოუკიდებლობით, ჩვენ შევასრულეთ ჩვენი დიადი ამბიციები. ჩვენ დავაარსეთ ჩვენი მარადიული დედაქალაქი - ჩვენი ქვეყნის გული, ჩვენი დამოუკიდებლობის საფუძველი.

ყაზახი ხალხის (*Mangilik Gumur*) მიღწევები დაგვეხმარება დიადი მომავლის აშენებაში (*Mangilik Bolashak*). მომდევნო თაობა არის დიადი ყაზახი ხალხის შვილები. მაშასადამე, ყაზახეთის ეროვნული იდეა არის მარადიული მიწა!

მარადიული მიწია კონცეფცია (*Mangilik El*) არის საფუძველი ერის დიადი კურსის - სტრატეგია „ყაზახეთი - 2050“. უფრო რთულია შეინარჩუნო დამოუკიდებლობა, ვიდრე მიაღწიო მას. ეს საუკუნოვანი ჭეშმარიტებაა, მსოფლიოს მრავალი ერის მიერ დამტკიცებული. ურთიერთ სიმულვილმა და ერთიანობის ნაკლებობამ გამოიწვია მრავალი ერის გაქრობა. მრავალი ერი სამუდამოდ გაქრა, რადგან უუნარონი იყვნენ გაეძლოთ დროის გამოცდისათვის. ჩვენ უნდა ვისწავლოთ სხვის შეცდომებზე და გავითვალისწინოთ გაკვეთილები წარსულიდან. ერთი გაკვეთილი არის ის, რომ მარადიული მიწის შექმნა ჩვენს საკუთარ ხელშია. ჩვენ უნდა წავახალისოთ ჩვენი თავი, რათა შევინარჩუნოთ წინსვლა. ჩვენ აბსოლუტურად უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი ხელშეუხებელი დამოუკიდებლობა, რაც ჩვენი სიმდიდრე და ბედნიერებაა.

„ყაზახეთი - 2050“ არის ყველაზე საპატიო და ღირსეული გზა, რომელიც მიუძღვება მარადიული მიწისაკენ. მოდით, ნუ გადავუხვევთ ამ გზიდან, ჩემო ძვირფასო ერო!

დაე, ყოველი დღე იყოს სადღესასწაულო და ყოველი ძალისხმევა სასარგებლო!

დაე, განვითარება ყოფილიყოს სწრაფი და მომავალი წარმატებული!

დაე, ჩვენმა ქვეყანამ გააგრძელოს მსოფლიოს გაოცება მისი დიადი მიღწევებით!

გაუმარჯოს ყაზახეთს!